


საყრდენი კონსტრუქციის გეგმა მ-1:100




სარეკლამო ბანერის კარკასი მ-1:100




ჭრილი 1 - 1 მ-1:100



№ 4 16 აპრილი 2016 წ.

# კონსტრუქციული დასკვნა

## ქ. თბილისში, ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ამო-7"-ის საკუთრებაში არსებული შენობის მთავარი ფასადის პარაპეტზე სარეკლამო ბანერის მოწყობისათვის ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ

წარმოდგენილი ფოტომონტაჟით გათვალისწინებულია ქ. თბილისში, ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ამო-7"-ის საკუთრებაში არსებული შენობის მთავარი ფასადის პარაპეტზე სარეკლამო ბანერის მოწყობა. ბანერის ზომები 3,0 მ X 12,0 მ-ია. ჩვენს მიერ შეწავლილი იქნა არსებული შენობის საძირკვლების, კედლების, შენობის გადახურვის მდგომარეობა და ტიპი.

შენობა ორსართულიანია, რომლის საერთო ზომები გეგმაში 20,0 მ X 31,0 მ-ია. შენობის საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის სახით, სისქით 0,4 მ. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის სიერცული კარკასი, სვეტები ზომებით 0,4 მ X 0,4 მ და რიგელები 0,4 მ X 0,4 მ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის სახით, სისქით 0,16 მ. სახურავი შესრულებულია, ბრტყელი კონფიგურაციის, რბილი საიზოლაციო მასალების გამოყენებით. სახურავზე სარეკლამო ბანერის განთავსებიდან 4,5 მ-ზე, პარაპეტის პარალელურ ღერძზე, დატოვებულია მეორე სართულის კოლონების არმატურების ნაშვერები.

სარეკლამო ბანერის პარაპეტზე მოსაწყობად საჭიროა შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარება:

– არმატურის ნაშვერებზე საყრდენი ფურცლების მოწყობა, ზომებით 0,2 მ X 0,4 მ, სისქით 8 მმ;

– საყრდენ ფურცლებზე მოეწყოს 100 მმ X 100 მმ ზომის კუთხოვანები, სიგრძით 12,0 მ, რომლებზეც უნდა მოეწყოს 80 მმ X 80 მმ X 4 მმ ზომის კვადრატული მილებით, საყრდენი ირიბანები და დგარები, ბიჯით 2,0 მ;

– საყრდენი კონსტრუქციის ერთმანეთთან შესაკრავად 3,0 მ-ის სიმაღლეზე მოეწყოს გრძივა 60 მმ X 60 მმ X 3 მმ;

– ლითონის ელემენტების ზედაპირი უნდა დაიფაროს ანტიკოროზიული სითხით და შემდეგ შეილესოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით;

– დამთავრებულ კონსტრუქციაზე შესაძლებელია სარეკლამო ბანერის მოწყობა;

– ჩასატარებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

დასკვნა: ქ. თბილისში, ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ამო-7“-ის საკუთრებაში არსებული შენობის მთავარი ფასადის პარაპეტზე სარეკლამო ბანერის მოწყობისათვის ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოება დაცული იქნება, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.





ი/მ „გოჩა გეთიაშვილი”-ს დირექტორი: / გ. გეთიაშვილი /